23.14

ეშმაკის ეპოქა

ფასი 50 მ.

№ 54

1921 წ.
იანვრის 1

კომუნისტი. ძია! არ მოგბეზრდა დარაჯობა? მოდი გამოგეცვალო! დახე საათსა,—დროა კოდეც!
ნოე. წადი თავმრთელი, ყმაწვილო, და გახსოვდეს, რომ „არ შეჰშვენის ვირსა რქანი, ყვავსა—ვარდი“.

ჟამთა გარეშე

(საახალწლო)

ალბათ ჩემი ფუქსავატობის ბრალია, რომ ყოველივე საზეიმო ცერემონია, გარეგანი სილამაზითა და ბრწყინვალებით მოწყობილი, გულს მიტოკებს და სისხლს მიღელვებს ძარღვებში.

უბრალო სადარაჯო რაზმების შეცვლა ხომ რა არის, მაგრამ ამასაც ვერ ჩავუვლი ხოლმე გულგრილათ და აბა რა გასაკვირველია, რომ წელთა შეცვლის ცერემონიის საკუთარი თვალით ნახვის სურვილს ავეტანე საოცარის სიმძაფრით.

ამ სურვილმა ისე შემიბოკა გონება, იმოდენათ დამიპყრო და დამიმონა, რომ რაც უფრო ახლოვდებოდა ძველისა და ახალი წელის შეხვედრა-გაყრის ჟამი, მით უფრო მეკარგებოდა ყოველივე ხალისი და სხვისი რისამე ინტერესი, გიჟივით სულ იმას ვფიქრობდი, როგორ მომეხერხებია მოუხერხებელი და წელთა შეცვლის ცერემონიას დავსწრებოდი.

— სად? სადა? სად?—ვიმეორებდი თუთიყუშივით ამ ერთად ერთ სიტყვას, რადგან არ ვიცოდი რა ადგილს უნდა მომხდარიყო ეს ცერემონია.

ჩემი ყოფა აუტანელ ტანჯვათ გადაიქცა და ის მდგომარეობა რომ კიდევ ორ კვირას გაგრძელებულიყო, ჯავრისაგან თავს მოვიკლავდი უეჭველად.

განგებამ შემიბრალა და 31 დეკემბრის გარიჟრაჟზე, როდესაც მრავალ ღამეების უძილობით დაქანცულ თვალებს წუთიერი რული მოეკიდა, სიზმარში გამომეცხადა ვიღაც საოცარი და საშიშარი, დიდებული სახის უზარმაზარი თეთრ წვერა მოხუცი, დამავლო ხელი, თვალის დახამხამებაში მთაწმინდის კორტოხზე ამისროლა და ერთ კარგა დიდ ლოდზე მიმითითა მაღლობ ადგილას.

— აი, აქ —წარმოსთქვა მოხუცმა და ისევ ჩემ ლოგინზე დამაბერტყა.

გამომეღვიძა.

წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ნათქვამია. არც ერთი სიზმარი არ ამხდომია ჩემს დღეში, არცარა მრწამდა საერთოდ სიზმრისა, მაგრამ ამ საოცარ სიზმარს მაინც ხელი ჩავეიდე და ძველი წელიწადის უკანასკნელი შუაღამე რომ მოახლოვდა მთაწმინდის აღმართს შევუდექი დავითის ქუჩით.

12 საათის შესრულებას 20 წუთი აკლდა მთის წვერზე რომ აველი.

ორმოციოდე ნაბიჯი რომ გავიარე გავაკების შემდეგ, მოწყვეტით შევდექი და გულმა ჩქროლვა დამიწყო სიხარულისაგან:

თუმცა უმთვარობის გამო საგრძნობლად ბნელოდა, მაგრამ მე მაშინვე ვიცანი ის ადგილი, აჩრდილმა რომ მანიშნა სიზმარში.

უცებ სიბნელეში რაღაც არა სასიამოვნო ხითხითი მომესმა და შემდეგ დაძახება გავიგონე:

— თაგუნა, თაგუნა, ხი-ხი-ხი! აქ მოდი, კაცო! რას გაშტერებულხარ მაგ სიბნელეში?

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. რის გაჭირვებით ვძლიე უნებლიე შიში და იქითკენ წავედი, საიდანაც მეძახოდენ.

სიზმარში ნანახ ქვაზე ვიღაც კაცი იჯდა არხეინათ, ბეწვიან ქურქში გახვეული, თავი ჩემკენ წამოეყო და ხითხითს განაგრძობდა.

შიშმა გამიარა და ცნობის მოყვარეობამ ამიტანა:

— ვინ უნდა იყოს?—ვფიქრობდი მე: ნუთუ ჩემს გარდა კიდევ სხვა მოსულა ამაღამინდელ ამბის საყურებლად?

თვალი თვალთან მივუტანე და გულმოდგინეთ მივაჩერდი სახეში. წვერ-ულვაში მოპარსული ჰქონდა და წვრილ თვალებსა და თხელ ტუჩებზე ცულლუტობის ბეჭედი აჯდა. თითქოს მენახა სადღაც, ძალიან ხშირადაც მენახა, მაგრამ მაინც ვერ მომეგონებია, ვინ უნდა ყოფილიყო

— რას ჩამაცივდი, კაცო, სახეში? ხი-ხი-ხი! ვერ მიცანი?—მკითხა ისეთივე ხითხითით.

— ძალიან მეცნობით, მაგრამ მართალი მოგახსენოთ, არ მაგონდებით.—ვუთხარი მე.

უცნობმა უფრო ხმა-მაღლა გადიხარხარა.

— ერიჰა! ყოჩაღ, თაგუნა? კარგი, ვთქვათ, მე არ გაგონდები, მაგრამ არც ის გაგონდება, რისთვის მოსულხარ აქა ამ შუაღამეზე?

— ნუ თუ?—წამოვიძახე მე და სიტყვა ყელში გამეხირა.

— სწორეთ! ხი-ხი-ხი! შენ, რასაკვირველია ყავარჯნიან თეთრწვერა, ბერიკაცის დახვედრას ელოდი! ხა-ხა-ხა! ბოდიშს ვიხდი მოლოდინის გაცრუებისათვის! დიახ, მე გახლავარ ძველი წელიწადი და, როგორც ჰხედავ, არც თუ ისე ძველი ვარ, ხა-ხა!

ფეხზე წამოდგა კოხტად და ერთ ორჯერ შემოტრიალდა ქუსლებზე, რომ ყოველ მხრიდან შემეხედა მისთვის. შემდეგ ქურქი გაიხსნა და საგანგებოთ შეკერილ ფრენჩის ჯიბეში ოქროს ძეწკვიანი დიდი ოქროსავე საათი ამოიღო, ბენზინის ასანთს მოუკიდა და დაჰხედა. თითებზე ბრილიანტის ბეჭდები აუბრჭყვიალდა.

— დახე, დრო მოსულა კიდეც! —წარმოსთქვა მან და საათი თვალებთან მომიტანა.

თორმეტის შესრულებას ორი წუთი-ღა აკლდა.

— აბა, მოემზადე! ეხლავე ჩემი მემკვიდრე მოვა.

ცოტა არ იყოს გაბიაბრუებულად ვიგრძენი თავი. რას ველოდი და რა დამიხვდა? მაგრამ ეს მოულოდნელი ამბავიც ხომ ძლიერ საინტერესო იყო და ყურადღებით ველოდი მის განვითარებას.

ძველ წელიწადს საათი ხელში ეჭირა და თვალს არ აშორებდა.

თორმეტი რომ შესრულდა, საათი დახურა და თვალ-დასმით მიაჩერდა ბნელ სივრცეს.

— დასწყევლოს ღმერთმა, არ მოდის! — წამოიძახა მან: ჯერ არც კი შესდგომია საქმეს და აქედანვე ცუღლუტობა დაიწყო: იგვიანებს, როგორც რესპუბლიკის ყველა მოხელეს ჩვევია, ხა-ხა-ხა!

ცოტა ხანს კიდევ უცქირა სივრცეს, შემდეგ დაჯდა და საათი ჯიბეში ჩაიდო.

— За ми-лыхъ женщинъ преле-е-стныхъ женщинъ... — დაიწყო მან ღიღინი, თითქოს მე არც კი ვყოფილიყავი იქ.

— ეს რა უზრდელი ვინმე ყოფილა! — ვფიქრობდი მე. რა უსიამოვნო სახე აქვს, როგორ იქცევა?

უცებ ღიღინი შესწყვიტა და ხმა მაღლა გადიხარხარა.

— ხა-ხა ხა! ტყუილად გავლანძღე ის ჭაბუკი, თაგუნჯან! ის არაფერ შუაშია!.. სულ ჩვენი მთავრობის ბრალია! არა, როგორ არ მომაგონდა, დასწყევლოს ეშმაკმა! რა მომარბენინებდა! ჩვენ, ჩემო ძვირფასო ამხანაგო თაგუნა, კიდევ ერთი საათი უნდა დავარგვალოთ ლოდინში! სულ დამავიწყდა, რომ ჩვენი დრო ერთი საათით წინ არის... კონიაკი მაინც მქონდეს თან — თავს შევიქცევდით! ეჰ, რა გაეწყობა! ახია ჩემზე: ასე იცის წესიერებამ და სამსახურის ერთგულებამ! მინ-დაა გიყვარდე-ე-ე... დაიწყო კიდევ ღიღინი მან.

— იცი, თაგუნჩიკ? — მომმართა მე, როცა ღიღინი გაათავა: ეხლა მე და შენ ჟამთა გარეშე ვიმყოფებით, ხა-ხა-ხა! ჩემი ყაელი გავიდა და ახალი წელიწადი კი ერთ საათს კიდევ დაიგვიანებს. ჟამთა გარეშე, ჰა? როგორ მოგწონს? განა წარმოიდგენდი როდისმე, რომ შენ, უბრალო მომაკვდავი, დროთა სრბოლის გარეშე მოექცეოდი? ხუმრობა იქით იყოს და რა ვაკეთოთ ამ ერთ საათში? ბიჭო, იქნება ბანქო გაქვს ჯიბეში? არა? შეგარცხვინა ღმერთმა! ისეთ ცხრიანებს გადაგიშლიდი, რომა!... მაშ, რა მოვიგონოთ, თაგუნ-ჯან, ჰა?

ეს ახირებული ძველი წელიწადი უფრო და უფრო არ მომწონდა: შენობით ლაპარაკი, ეს „ბიჭო“ და „თაგუნჯან“ მის უზრდელობას და თავხედობას ამხელდა და ნერვებზე მოქმედობდა.

— აფსუს, რა დრო მეკარგება! — განაგრძობდა აბედობდას გასული წელი: ერთი საათი! ხუმრობა ხომ არ არის? ამ ერთ საათში იმ ორი მილიონის თურქულ ლირების გაყიდვასაც მოვასწრებდი, მე და ჩემმა ღმერთმა! ეჰ, არა უშავსრა! კიდევ გამოვაკეთებ საქმეს! მოვიდეს ერთი ის ლაწირაკი ჩემი მემკვიდრე! არ იფიქროს ტყუილად, რომ ჩემს კომბინაციას გაექცევა! მისთანა ბალღები გამიცურებია?.. თაგუნა, შენს გაზრდას, ერთი ჩამიყავი ხელი უკან საყელოში და ზურგი მომფხანე მარცხენა ბეჭთამ... ვერ წარმოიდგენ, როგორ ამქავდა! — ჩაურთო მან თავის მონოლოგში მოულოდნელათ და ზურგით მომიტრიალდა.

სისხლი ყელში მომადგა. ვგრძნობდი, რომ ეს მეტისმეტი თავხედობა და „ქამობა“ იყო, რომ ასეთი მოპყრობით მამცირებდა და აბუჩად მიგდებდა, მაგრამ, ჩემდა უნებურათ, რაღაც სულელური გაუბედავობის გამო, მაინც უარი არ ვუთხარი, ჩავუყავი ხელი საყელოში და ფხანა დავუწყე.

— უფრო ქვევით, ყმაწვილო!... მარცხნით! აი, მანდ, მაგრათ! ფრჩხილებით! ოო, ეგრე, ეგრე... კმარა! გაიზარდე!

ხელი რომ ამოვიღე საყელოდან, ძველი წელი მოსხლეტით მოტრიალდა ჩემკენ, შიგ თვალებში ჩამაჩერდა და ისე დამიწყო ცქერა, თითქოს რისიღაც წაკითხვა ნდომოდეს ჩემს სახეზე. კარგა ხანს მიცქირა ასე, ეჭვის თვალით. შემდეგ ხელები მხრებზე დამადო და უფრო დაბალის ხმით მკითხა:

— გაფიცებ ყველაფერს, მითხარი გულ ახდილათ, რამ მოგიყვანა აქა?

ისე არ მოველოდი ამ კითხვას, რომ სახტად დავრჩი და უეცრივ ვერა ვუპასუხე-რა.

— იცი, რა გითხრა? მე არაფერი დამემალეგა! მოდი, ხელი ხელს დაჰკარი: ნახევარ მილიონს მოგცემ და წადი!

მე კიდევ უფრო დავიბენი, რადგან ასეთი წინადადება ყოვლად გაუგებარი და უცნაური იყო ჩემთვის.

— არ მესმის, რას მეუბნებით? რის ნახევარი მილიონი?

რათ უნდა მომცეთ ნახევარი მილიონი? — წავილუღლუღე მე.

— ე-ტე-ტე-ტე! მითომ ვერ გაიგო თაგუნამ! — თითის ქნევით და ღიმილით მითხრა მან: კარგათ ვიცი, შვილოსა, რისთვისაც გარჯილხარ ამ შუაღამეზე და ამოდენა გზა გამოგვილია სიბნელესა და სიცივეში! გინდა, ხელში ჩაიგდო, განა?

— არაფერი მესმის! ვინ უნდა ჩავიგდო ხელში? — გაკვირვებით ვკითხე მე.

— ვინა და ისა!

— ვინ ისა?

— ახალი წელიწადი!

— როგორ თუ ხელში ჩავიგდო?

ალბათ ჩემმა გულწრფელმა გაკვირვებამ და განცვიფრებულმა სახის მეყველებამ დაარწმუნა ჩემი მობაასე, რომ მე მართლაც არაფერი მესმოდა. ძველი წელი დამშვიდდა და უწინდებურის კილოთი დამიწყო ლაპარაკი.

— მჯერა, მჯერა, თაგუნ ბეგ! ბოდიშს ვიხდი, რომ ცილი დაგწამე... მოდი, ერთი, ავაბოლოთ ლოთიანათ!

ოქროს პორტსიგარი ამოიღო, ჯერ თითონ გაირჯო პირში ძვირფასი ჰავანის სიგარა და შემდეგ მეც მომაწოდა.

ძველმა წელმა მოუკიდა სიგარას და კიდევ დაიწყო რაღაც აბედობა, მაგრამ მე ყურს აღარ

ვუგდებდი. აღარ შემეძლო ყურის გდება. ისე მომყეჭდა ყველაფერი, რაც ჩემ წინ ხდებოდა, ისეთ მოწყენას და ზიზღსა ვგრძნობდი, რომ კიდევ დარჩენა იმ ადგილას აღარ შემეძლო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მე მივდივარ! —გავაწყვეტინე ყბედობა და მოვტრიალდი.

— როგორ? ასე უეცრად? აღარ გინდა დაუცადო იმას?

— რაღაც შეუძლოთ გავხდი... უნდა წავიდე!

— კარგია, ერთი! სულ ოცი წუთი-ღა დარჩა! მოიცა, კაცო, ვილაყბოთ! —არ მეშვებოდა ძველი წელი.

— არა, უნდა წავიდე!—გადაჭრით ვუთხარი მე და გზას გავუდექი.

— თაგუნჩიკ! თაგუნჩიკ!—მომაძახა მან ასიოდე ნაბიჯი რომ გავიარე: შენ გაზრდას, დაბლა, დავითის მოედანთან ჩემი ავტომობილი დგას: უთხარი შოფერს, თუ არსად გაპარულა ის მამაძაღლი, რომ მე ნახევარ საათში ჩამოვალ. არ დაგავიწყდეს, გეთაყვა!

მთვარე ამოსულიყო კიდეც და მე თითქმის სირბილით დავეშვი თავქვე.

— აი, ჩვენი გასული 1920 წელი! — ვფიქრობდი მე გზაში: რა უზრდელი, უნამუსო „ქამი“ და სპეკულიანტი ვინმე ყოფილა!.. ნეტა როგორი იქნება ახალი 1921 წელი? ვაი თუ ამ სალახანამ ისიც გაგვირყვნას და გაგვიფუჭოს? როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ მაგის გავლენას ავაცდინოთ!

დავითის მოედანთან რომ ჩავედი, დახურული ავტომობილი შევამჩნიე. შოფერი შიგ იჯდა და ეძინა.

პლეხანოვის პროსპექტამდე კიდევ ბევრი გზა მქონდა გასავლელი. მივდიოდი ჩქარის ნაბიჯით და თვალ წინ სულ ჩვენი ძველი წელიწადი მედგა და ყურებში მისი ყბედობა მეყურებოდა.

ვერის დალმართზე ავტომობილის ხრინწიანი ბღავილი მომესმა და თითონ ავტომობილმაც ტყვიასავით ჩამიქროლა გვერდით.

— თაგუნ! თაგუნ!—დამიძახა ნაცნობმა ხმამ, ავტომობილი გაჩერდა, გაიღო კარი და თავი გამოჰყო ძველმა წელიწადმა: მოდი, მოდი, ჩქარა!— მიძახოდა ის.

რომ გავუსწორდი, შევამჩნიე, რომ გვერდით ვიღაც ახალგაზრდა, ჯერ პირ-ტიტველი ყმაწვილი ეჯდა.

— მოდი, მოდი, კაცო, ჩვენთან ჩაჯექი! რას მიჩანჩალებ ქვეითად? გაიცანი: ეს თქვენი ახალი წელიწადია!

— რას გაჩერებულხარ?—დამიყვირა მან, როდესაც დაინახა, რომ მე ადგილიდან არ ვიძროდი და ცნობისმოყვარეობით ვუცქეროდი ახალი წლის სიმპატიურსა და გულუბრყვილო სახეს: ამოდი, რაღა! არ ინანებ! ისეთ ადგილას მიმყავს, რომ ჩინებულ დროებას გავატარებთ!—მითხრა ძველმა წელმა და ეშმაკურად თვალი მიყო.

— სად მიგყავთ?—უაზროთ ვკითხე მე.

ძველი წელი ჩემკენ დაიხარა და ყურში ადრესი ჩამჩურჩულა: ისეთი გოგონებია, რომა!—დასძინა მან და პირი გაამწლაქუნა. რაკი დარწმუნდა, რომ არ წავყვებოდი, ხელი ჩაიქნია, რაღაც ჩაილუღლუღა და ავტომობილის კარი მიახეთქა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ის არამზადა ძველი წელიწადი ამ წუთშიაც იმ სახლშია, რომლის ადრესიც მე მითხრა და გულმოდგინეთ „წვრთნის“ ახალ წელიწადს.

ვინ იცის, იქნება ჯერ კიდევ შესაძლო არის ახალი წლის მისი ბრჭყალებიდან გამოგლეჯა. ადრესი კარგათ მახსოვს, შევატყობინებდი კიდეც შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რომ არა გამოვა-რა.

თაგუნა

საახალწლო ნაწყვეტი გაზ. „საქართველოს“ სპეკულიანტ-ჟურნალისტებს

(ბაა)

შესაფერი მილოცვები არ იქნა, ვერ მოვასერსე,
სევდა მკლავს და ჯავრისაგან მეცინება: ხა-ხე-ხე-ხე.
— ის რა იყო, მეგობარო, ჩუმათ ეურში რომ მითხარი?
ვის მიჰყავდა, სად მიჰყავდა ამ წინაზე გემით ხარი?
— გვაზავაზე მოგახსენებ... მიილო რის იყო ღირსი,
არ გამოცხვა რიგიანათ განზრახული კვერი მისი!
აძრო ხალხს ზურგზე ქონი, ანგორის გზა კი ვერ ნახა.
ქართველებით თათრებს ჭკვებდა! ეოჩაღ ბიჭო,—სა-სა-სა-სა!

საახალწლო უსტარი სოლომონს

ძმაო სოლომონ! (ამ ძმობას მიკვირს ვით გეთავსედები)
მეტიჩარობა მეუფლა, ვქმენ არ წინ დანასედები,
შენ ჩვენად სამმოდ ივარგი, ვით ისჭებისად გედები,
შვილთა, შენ დასადაროთა, არღა თუ ხრდიან დედები.

შენად უსტარის მოწერა აწ შმაგურ მომესალისა,
მსურს ანგარიშის მიცემა მის წლისა, წარმავალისა,
არ დაიზარო, სულმნათო, მისად ჩაგლება თვალისა,
არ მოგეწონოს, ნუ გასწერე,—ვქმენ შესაფერი ძალისა.

შენ, სამოთხეში მჯდომარეს, არ თუ რა გაგეოცება,
ჰიიღე ჩვენთა მგოსანთა მხურვალე, მწვანე კოცება;
აკურთხე, ძამათმთავარო, შენგან თუ დაილოცება,
„ბარიკადებზე“ იბრძვიან, შვილნი ნუ დამესოცება!

ზღუდენი ძამულისანი, კვლავ აღმართულან სალადა
სდარაჯობს ჩვენი მხედრობა, სცან მტერთა შეუვალადა;
სხვა და სხვა კომუნისტები უკუ გვარტეიან რკალადა,
ოინბაზობას სმარობენ, ღირს შენად შესათვალადა.

კომუნისტების ამბავი შენთვის კვლაძც მომიწერია,
„სოციალიზმსა“ სთესავენ... ხელთ კი მახვილი სჭერია,
ძარცვა, თუ მეკობრეობა, საქმეთა მისთა ფერია,
სმელეთი სისხლსა ვერ იტევს და კვნესას ცათა ჭერია.

დიდი რუსეთი კვლავ დიდობს, აწ სასაფლაოდ ქცეული.
აქეთ მორბიან ეოველნი იმა მხრით გამოქცეული,
ქალაქი, დაბა, სოფელი კომუნისტთაგან ქცეული
ჟამთა განვლილთა სტირიან, მდუღარე ცრემლად ლეული.

ოდეს გათავდა რუსეთში ძველ დროთა მონაგარები,
სანაჰიროსკენ მიაწვენ კომუნისტური ჯარები,
ბაქო აიღეს, თათართა ადინეს სისხლთა ღვარები,
არბევენ დაბა-სოფელთა მართ ვითა მეკობარები.

აწ ის სათათრე, ბაქოთკენ, „სოციალიზმის“ მსარეა!
სადა მეუფობს შიმშილი, გლოვა და სიმწუხარეა,
სად ძველებურად ცრავის გულით არ გაუხარია
აწღა სცნეს თავისუფლება რა ძნელი მოსახმარია.

ჟამი გამოჭსდა, სომხეთსაც ფერი აცვლიეს ეულად,
ოდეს ისილეს ბედშავი ანგორელთაგან ძლეულად;
ჩამოუსახლეს „რევკომი“, ბაქოდან გამოწვეულად,
დაემორჩილა სომხეთი, ცნობილი ჭირთა ჩვეულად.

ამგვარათ,—ჩვენად მეზობლად გვევანან სულ კომუნისტები
ჩრდილოეთიდან ეაზახნი, ოსნი და კვლაძცა ქისტები,

აღმოსავლითგან თბთარნი და რუსეთელნი სიმტკბები,
სამსრეთით სომეს-ოსმალნი სტამბულის ნაკურსისტები.

მართალი გითხრა, სოლომონ, მათ უეკართ ჰირში ფერება,
მაგრამ ვით მგელსა კრავის წილ სიტყვა არ დაეჯერება,
გვითვალთვალებენ სამუსთლოდ, ჩვენო მზეო, ბროლის წვერება;
დრო თუ გვიშოვეს იციან ჩვენ წილ ტყვიათა მღერება.

ამად ქართველი დღე და დამ ფხიზლობს, გუშაგობს, მღვიძარებს,
სამშობლოს ბჭეთა დარაჯობს და ეტრფის, არ თუ იზარებს,
ხმათა ვაჟკაცთა სიხაფე, აწ კვლავცა იმეს-იზარებს,
და ეკვეთება თავდამსხმელ მტერსა ნაკომუნიზარებს.

სახლშიაც გვეგანან, ძვირფასო, ჩვენ კომუნისტი ბიჭები
სამშობლოს სამუსანათოდ მათი მუშაობს ნიჭები,
მოღალატეა ეოველი, რო გაუსინჯო კიჭები,
აგვიოხრებენ სახლობას, კარი თუ ნახეს ღრიჭები.

ქანქარი მოსდის მოსკოვით, წესთა მის შემამკობელსა,
არ დაინდობენ, ჭეიდიან ძმასა და დედას მშობელსა,
თვით მოილხენენ, ხხვათათვის სწამლავენ წუთისოფელსა,
სიტყვა-ჰასუსსა იხმარენ სასირცხო მოსათხრობელსა.

„კუკურე“ ქუდი ასურავთ მას კომუნისტურ ჯარებსა,
ტყავისა ძაბრი წითელი, შუბლთ ვარსკვლავთ იელვარებსა,
მრავლ შეეხიზნენ თბილისში რუსთა ქისიის კარებსა,
ვინ ჩვენად სემუსანათოდ საქმეს არ დაიზარებსა.

შუქურ ვარსკვლავო, სოლომონ, იკურთხოს შენი წვერები,
გადაგვერია ბუნება, უმეტეს ცათა ჭერები
გვსუსსავენ, თოვლსა გვაფრქვევენ ოქტომბერ-ნოემბერები.
(კირიონს უთხარ, თუ ვითარ გასცოცხა ნოემ ბერები

ეველა წმინდანი არ არის ხელთა დავითნის მჭერები,
„თვალებსა“ სთხრიდენ ღვთისმშობელს ზოგ-ზოგი გაიძვერები,
მონასტრებისა მსასურნი, დიაცთა ქვრივთა მტერები,
ნუ შემომწერები, საქმეა ეს მათი შესაფერები.)

სოოვს განუწყვეტლივ. არ გვახსოვს ესდენ ხანგრძლივად თოება,
მთათა და ბართა ერთგვარად თეთრი ქოჩორი მოება;
ნუ თუ ცად, ჩემო სოლომონ, სხვა არრა მოგეპოება,
რომ გადმოჰყარო სიუხვით შეგვიმსუბუქო დროება.

შეშა არა გვაქვს. ნავთი სომ კომუნისტების ხელშია.
მათ, ამ ზამთ, დანა-მახვილი ჩვენ მოგვაბჯინეს ეელშია,
მოგვცემენ... შეგვიჩერებენ, ვეეევართ ამ სატანჯველშია,
მათ ესე ჩვენი წვალება არ შერჩეს ეეჭველშია.

მგოსანო, შენად წერაში სელი არ დამედალება,
მაგრამ არა მსურს კითხვითა მე თვალთა შენთა წვალება,
სამაგიეროს მოწერა ამით არ დაგეკალება.
მშვიდობით! შენი მორჩილი ეშმაკი გენაცვალება.

ეშმაკი.

1921 წ. ივნისის 1.

საიდან წარმოსდგა კომუნისტების „კუკურეკუ“ ქუდი











წელთა შეცვლა საქართველოში

სადაცა დაჭერვენ ყანი და 1920 წ. გამოსაცვლელად მოვა ახალი წელიწადი. მოხუცმა რაინდმა, 1920 წ., სრულის მიუდგომლობით ასწონ-დასწონა თვისი მოდგაწეობის ავ-კარგი და ელოდება ახალ წელს ქვეყნის ჩასაბარებლათ.

ია, მოვიდა ჭაბუკი 1921 წ. მოხუცმა რაინდმა მოიხსნა საჭურველი, კაბასა წვრილთოვალა და, უთხრა ჭაბუკს:

— შვილო ჩემო! ეს სიბერე სიმოსი და იარადი დედიან ქაროვანელის გაჩენისა გადადის წლიდან წელზე და ეი დიდგა ყაში, როდესაც მან შენ უნდა დაგიმშვენოს. ამ სიკეთეელს არასოდეს უმტკუნია ქაროვანელისათვის და მე მჯერა, არც შენს სელში წასდება იგი. ვიდრე გაგეზრდებოდე, მინდა გულახლილად ადვიარო შენს წინაშე ყველა ის ნაკლი, რაც ჩემს დროებას ახლდა თან, რათა შენ უფრო გაგიადვილდეს შეცდომების თავიდან აცილება, დირსებას კი თითონ დაინახავ. ჩემს წელიწადს ახსიათებდა შემდეგი: მოხელეთა მეკრთამეობა, მეტიბარა მედროვეების თავაშვებული პარპაში, მეეირანდა „ქვეყნის მხსნელთა“ განუსჯელობა და უპასუხისმგებლობა, ადვირახსნილი ფულის სიხარბე და სპეკულიანტობა. ყველა ამ ნაკლს მე თან წავიდებ, მაგრამ არ იფიქრო, რომ ამით მოისპონ იგინი. დიდი ბრძოლა და სიფხიზლე გმართებს შენ, ჩემო მემკვიდრეო, რადგან მათი ფესვები ამოუფხვრელი რჩება და ადვილად გაიხარებს. გისურვებ წარმატებას. მშვიდობით!

მოხუცმა რაინდმა აიკიდა მის მიერ ჩამოთვლილ ნაკლიო ავსებული ხურჯინი და წავიდა მარადისობაში.

ახალმა წელმა ეურადღებით მოისმინა ძველი წლის სიტყვები, გადაეხედა მოსდამი ჩაბარებულ ქვეყანას და ჩაფიქრდა:

— აი, დირსეული რაინდი! — ფიქრობდა იგი: მან გაბედულად და ულმობელად ადიარა ყველა თავისი ნაკლი, ხოლო დირსებისთვის სიტყვაც არ დაუძრავს. განა მე არ ვიცი, რომ მან საოცარის თავგანწირულებით და ვაჟკაცობით დაიცვა ქვეყანა გარეშე მტერთაგან, გაუერთიანა იგი, გაამკვიდრა და სახელი გაუთქვა სხვა ქვეყნებში? მძიმეა ჩემი ხვედრი ასეთი წინაპრის შემდეგ, მაგრამ მე დავამტკიცებ, რომ დირსი ვარ მისი მემკვიდრეობისა: ისა სჯობია მამულისთვის, რომ შვილი სჯობდეს მამასა!...

საახალწლო მ. მღერება

ანტანტას.
მსუნაგ მგელს ყელზე დაადგა
მსუქანი ცხვარის ძვალია...
რუსმა მოგვერდი გიყო და
განზე გაგიხტა ალია.
ბედს თავს ვერავინ დააღწევს:
მოვა, რაც მოსავალია,—
არ ტყდები, თორემ თითონც გრძნობ,
რომ შემოგადგა წყალია.

საბჭოთა რუსეთს.
„შენი სვი და შენი ჭამე,
ჩემსას ჯვარი დამიწერე“..
მოიგონე, გაზეთულზე—
მაქ რომ ზავი დამიწერე,—
სიტყვას ბანზე ნუ ააგდებ
და.. ნოტები ფრთხილათ სწერე..
ჩვენს ღამურებს რომ უყურებ,
ეს ერთი მეც დამიჯერე:
საქართველოს ვერ დაიპყრობ
ვერც ამ წელში და ვერც მერე.

ანგორას.
ტკბილ სიტყვას ტკბილი საქმენიც
უნდა ახლავდეს თანაო...
ხანჯალს ქარქაშში ვერ ჩავდებ,
სანამ ხელში გაქვს დანაო.
ბათუმის წილი შავი ზღვა
არ არის შენი სანავო,
ნურც იმას ფიქრობ, ოდესმე
ჩოლოქში რომ გაბანაო.

ადერბეჯანს.
ბრძენთა-ბრძენი ხარ, ძმობილო,
მომწონს მე პკუა შენია;
ბატონი შენებრ ადვილათ
აბა ვის შეუძენია?

დაშნაკელებს.
სხვისმა იმედმა
ვერავის არგოს,
„დიდის მომკიდემ
მცირეც დაკარგოს“.

შეიდმანს.
„ბიჭო, ვისი გარ მალხაზო?
დაურჩი დედა-შენსაო...
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო“...
ცრუობას გოდრით დაგიდგამ
და ჭორებს გეტყვი ბევრსაო.

ქართველ ხალხს.
ხედავ: გარს მტერთა ლაშქარი
გარტყია, როგორც კალია..
ცალ ხელში თოხი გეჭიროს
და მეორეში ხმალია.
შენი პატარა სამშობლო
ლამაზი პატარძალია.
მოდიან სასიძოები:
ზოგი ყრუ, ზოგი მთვრალია.
იფხიზლე.. მოტყუილებით
არვინ მოგტაცოს ქალია!
მოყვარეს შეხვდი მოყვრულათ,
მტერს დაუყენე თვალია.

d.

სიმღერა

მე კომუნისტი გახლავარ
არ მწამს ერი და ნაცია:
რუსი, ფრანგი და თათარი—
ყველა ერთფერი კაცია.
შრომა და პატიოსნება
არ შედის ჩემს პროგრამაში..
(რუსეთის ამხანაგებიც
დამეთანხმება ამაში).
მზის სინათლეზე ოფლის ღვრას
მირჩევნის ბნელში თამაში.
მიყვარს მწვადი და კახური...
მარდი ბიჭი ვარ ჭამაში.
ვინც საქეიფო ფულს მომცემს,
ჩემი სინდისი მისია...
უფალმა გააძლიეროს
ჩვენში წითელი მისია!—
სამშობლოს მტერთ და ორგულებს
იქ ექცევიან პატივით;—
მეც იქ ვარ .. ჩვენსა ქვეყანას
მიტოს შევუჯექ მატლივით.
ღლიპი და ღამით ვხრავ მის გულს,
არ ვაძლევ მოსვენებასა—
(ასე პირნათლათ ვასრულებ
მოსკოვის სურვილ-ნაბასა).
რუსული ჩექმის ჰირიმე!..
შიყვარს ის,—რისხვის მთოველი,—
რათ იგვიანებს ნეტავი?!
გულის ფანცქალით მოველი..
ფუ დედა-ჩემის ლეჩაქსა!.
მამას შეახმეს მკლავები!.
დებს ამიხადონ ნამუსი!.
ძმებსაც მოჭკვეთონ თავები!.—
(მენშევიკები არიან
ეგ ოხრები და ავები),—
იმათი ლეშით ძღებოდნენ
ტყის მხეცნი, მინდვრის სვავები!.
თეთრი გიორგის მკვდარ სხეულს
თვალებს ჭკორტნიდენ ყვავები!...
მაშინ ვიხარებ.. (მანამდე
მახეში თუ არ გავები).
კოსმოპოლიტი გახლავარ:
არ მწამს ერი და ნაცია:
რუსი, ფრანგი და თათარი—
ყველა ერთფერი კაცია.

d.

წელთა შეცვლა რუსეთში

1920.—Бррр!.. Ну и морозъ людый! Словно, доканать меня собрался! А смѣны все еще не видать. Что это, Главковремя забыло про меня, что-ли... Да! пора мнѣ—старому хрычу на печку! Ну и наворотилъ-же я за этотъ годъ! Кажись, моему преемнику и разстрѣливать некого будетъ!

საახალწლო ნაწყვეტი „ესერებს“

ივანე ლორთქიფანიძე ბიჭია, მაკრატელია,
ტანში წვრილი და ძალალი ბეჭს ზემოდ ერთობ თხელია.
ძველთაგან „სახელოვანი“ მინისტრი რკინის გზელია,
ნავთი ჩაისხა ჯიბეში,—ქემაფმა დასწვა ეელია,
დღეს გვარდიისკენ მიაპერო მან „ჭუჭეიანი“ ხელია
„მაუზერისტებს“ ემახის ლომს, ქურდ-ბაცაცა მელია.
ერთი მათრახი მაგისივის ვაჭმე, რა სანატრელია,
შენი ჭირიმე, ეშმაკო, ზურგი დაურჩეს ჭრელია.

1921.—Здорово, старина! Что, стосковался по мнѣ? Вотъ и пришелъ на смѣну, Главковремя шлетъ тебѣ коммунистическій привѣтъ!

1920.—Здравствуй, парняга! Эка хватомъ тебя нонче нарядили! откуда это платье, нашего, чтоли, производства?

1921.—Какъ же, держи корманъ! Это, братецъ, все отъ врангелевской сволочи досталось!

საახალწლო ნაწყვეტი „შეუვალობას“

აწ გეაჯები ეოველთა, მოშხედოთ... მიეოთ წუალობა,
ამისსნათ ქრისტიანულად მე ამა ამბრთა კვალობა:
თუ **სახლსა** ჩემსა არ ეოქმის სხვათაგან „შეუვალობა“
კაცს „შეუვალსა“ რად ვარქმევთ, ვის შვენის მაჩანჩალობა?!
და თუკი, ძმაო კირილე, სხვის სასლში შეევლინები,
„**ეეუვალობის**“ წუალობით სელში ჩაიგდო ბინები,
ცხადია, ბინის ჰატრონი დარჩება განაწეინები
და „შეუვალი“ შესული, შერცხვები, შეიგინები.

1920.—Паренекъ! а, паренекъ!

1921.—Чего?

1920.— А ты, голубчикъ, того... сними-ка свой нарядъ... ты еще молодъ... кровь въ тебѣ горячая... уступи мнѣ, старику... а я за это тебѣ наставленія дамъ... на предметъ поведенія...

1921. А въ зубы хочешъ? Нашелся наставникъ!—Проваливай съ чертомъ, а то, какъ двину! Наставленія! Не видишь, чтоли: ежели на тебѣ одинъ шлемъ, на мнѣ ихъ цѣлыхъ два! Проваливай!

შექანჯალებულის მილოცვები

ახალმა ძველ წელს ურქინა,
უფსკრულში გადაისროლა.
გულში იმედმა მიპწკინა...
ხსნის სიომ ჩამომიქროლა.

—

დავხტუნავ, დავკრიმანჭულობ...
ცამდი ავიყვან კიბესა...
ვარსკვლავებს გულზე დავიბნევ
მთვარეს ჩამოვკბენ კიდესა.

—

მოვიდა წელი ახალი,
უძვალ-ურბილო, უკბილო...
გვესტუმრა უბარგ-ბარხანო...
უსანოვაგო, უფქვილო.

—

ამბობს: მე შევქმნი ყველაფერს,
სურსათს და სანოვაგესო...
ბედნიერსა გყოფთ... რომ ღიმი
არ მოსწყდეს არვის ბაგესო.

მის პირს შაქარი! ჩვენც ეს გვსურს,
აღსრულდეს დანაპირები.
არვიცი!! განა ხის ტოტზე
დავლურს დაუვლის ვირები?

—

გული კი მაინც მიმღერის
ახალ-ახალის ლოდინში...
ავდგები, წავალ-წამოვალ,
დღეს აღარ ვძვრები ლოგინში.

—

მოვიღლი ტურფა სამშობლოს,
მრავალსაც ვედარბაზები...
ჰარალო უნდა დავსძახო...
დავსცალო ღვინის თასები...

—

კუპიც თუ დავაორსულე,
მაგემეს სადმე მწვადები,
მომავალ კვირას მოგითხრობთ,
მომეცით ცოტა ვადები.

შექანჯალებული.

მერანი

ტუდათ ხომ მაინც არ ჩაავლის ამ განწირული ტეხნის ჭენება,
და გზა-ტკეცილი, ჩვენგან ნგრეული, მერანო ჩემო, ადარ გვექნება.
გასწი, მერანო!..

ვიზიტი

ამ საახალწლოდ მსურს ჩვენს პოეტებს
მოკლე ვიზიტი რომ გავუკეთო.
ვიცი, ადგენენ ახალ პროექტებს,
იმ დღისთვის მსახურთ რა დაუქვეთონ.
პირველად გრიგოლს დავურეკ ზარსა,
ფუტურისტების გახლავსთ ბელადი;
ჯენტელმენია, გამიღებს კარსა,
ღვინოს მომართმევს სოველ ხელადით.
ავიღებ ყანწს და დავიწყებ ასე:
გრიგოლ პოეტი ჩვენში ჰგავს მროდას;
და ტიციანი, „კოშმარით“ სავსე,
„მალარია და გიჟ მდდელზე“ ბოდავს.
პაოლო დაჰქრის „წითელი ხარით“,
ვით პანჩო, ებრძვის ქარის წისქვილებს,
გაფრინდაშვილი „ჩაჟენილ თვალით“
იწვის, „ორეულს“ ვეღარ იცილებს;
გალაქტიონი თუმც გრძნობა ნაზობს,
გაუგებრობის ბურუსი ჰფარავს;
აბაშელი კი სიტყვა ლამაზობს,
მაგრამ ცივია და გულს ვერ გვპარავს;
და გრიშაშვილი ნაზ „ოქროს ფეხსა“
ვერ სტოვებს, მაზე ლოცულობს კვალად;
ჩვენი ვარლამი თუმც ისვრის მეხსა,
ახალ ფორმებთან ბრძანდება მწყრალად...
და ასე მწყობრათ ჩამოვთლი ყველას,
დავცლი, ალავერდს მივალ გრიგოლთან,
(თუ გრიშაშვილმა არ ჩაახველა
და არ შეაკრთო ისე, ვით „ოთარ“).
ისიც დაიწყებს: „მან, ამან, იმას“...
დაცლის და პავლოს გადასცემს ყანწსა.
ისიც თავის მხრით გადასცემს „ჯიმას“
თან გააყოლებს იმერულ ბრანწსა
და გაჩაღდება ქეიფი, ლხინი,
ცაში ბახუსი შურით მოკვდება,
და გათავდება მოლხენა მით, რომ
ყველას მათრახის კუდი მოხვდება.

ხუმარა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲙᲐᲤᲔ-ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲘᲢᲔᲠᲝ ᲝᲒᲐᲜᲔᲖᲝᲕᲘᲡᲐ ᲙᲐᲤᲔ-ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲘᲢᲔᲠᲝ

ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲭᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ, № 11 — 2.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ: ᲪᲮᲔᲚ-ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘ, ᲜᲐᲦᲔᲑᲘ (ᲙᲐᲘᲛᲐᲦᲘ), ᲗᲐᲤᲚᲘ-ᲤᲘᲥᲐ, ᲩᲐᲘ ᲛᲣᲠᲐᲑᲘᲗ, ᲛᲐᲬᲝᲜᲘ, ᲠᲫᲔ, ᲧᲐᲕᲐ, ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲛᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ **ᲙᲐᲤᲔ-ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲘᲢᲔᲠᲝᲨᲘ.**

— ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲐᲤᲘᲗ. — — ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲐᲤᲘᲗ —

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ Მ. **ᲝᲒᲐᲜᲔᲖᲝᲕᲘ.**

2—2

ᲙᲐᲮᲔᲚ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ — 1895 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ —

„ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ — 1895 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ —

ᲦᲕᲘᲜᲝᲥᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲮᲐᲡᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ: ᲒᲝᲒᲝᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 63.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 9—2 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗ 4—7-ᲓᲔ. 1—1.

ᲚᲐᲛᲤᲘᲡ ᲨᲣᲨᲔᲑᲘ

ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲛᲔᲢᲐᲚᲚᲘᲣᲠ ᲩᲐᲠᲩᲝᲨᲘ

ᲧᲐᲚᲑᲘᲡᲬᲘᲜᲓᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ (ᲑᲘᲝᲗᲣᲛᲐᲓ, ᲪᲐᲓ-ᲪᲐᲚᲙᲔ)

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ

Ნ. ᲚᲝᲒᲢᲐᲙᲘᲡ

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲝᲚᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 3

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲔᲑᲘ

ᲨᲘᲜᲔᲑᲘ ᲘᲢᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲠᲒᲝ ᲐᲕᲢᲝ-ᲛᲝᲫᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

2—3

ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ ᲒᲐᲡᲣᲤᲔᲓᲗ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲔᲑᲘ: ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ Მ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

1921 ᲬᲚᲘᲡ.

ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ.

ᲣᲤᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲘᲗ, ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲘ ᲤᲔᲠᲐᲦᲘᲐ, ᲚᲘᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ.

ᲯᲘᲒᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲔᲮᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲠᲣᲡᲣᲚᲘ, ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲘᲗ.

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ.

ᲓᲐᲡᲣᲠᲐᲗᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲠᲣᲡᲣᲚᲘ. ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲘᲗ.

ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ „ᲛᲐᲨᲣᲙᲐ“

ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ:

1. ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲨᲝᲜᲘ „ᲟᲣᲛᲘᲩᲣᲚᲘᲡᲐ“
2. ᲡᲘᲛᲝᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲘᲜᲔ „ᲮᲠᲘᲐᲚᲘ“
3. ᲡᲘᲮᲜᲘᲡ ᲮᲣᲓᲠᲐ.
4. ᲝᲓᲔᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲣᲮᲘ.

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ.

ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ: ᲧᲝᲠᲝᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 18, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲑᲘᲜᲐ № 3. ᲢᲔᲚ. 8—26.

3½-ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ — 4½-ᲡᲐᲐᲗᲘᲡ-ᲛᲓᲔ.

1—3.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲚᲑᲐ

„ᲡᲐᲒᲐᲚᲒᲗ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲥᲐᲠᲯᲐᲡᲚᲐ ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲡᲘᲡᲐ.

2—2.

ლტოლვილი ასალი წელიწადი



ბავშვი. ძია! ჰა, ძია! მიმიღეთ ღვთის გულისათვის!
მონაპირე ჯარისკაცები. შენ ვინა ხარ, ბაწია?
ბავშვი. ახალი წელი ვარ... რუსეთისა! მე იქ ვერ წავალ! მეშინიან!
ჯარისკაც. რათა, ბიჭუნი რისა გეშინიან?
ბავშვი. ისინი დამხვრეტენ, ძია! მიმიღეთ, ღვთის გულისათვის!

„ეშმაკის მათრახი"

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი ეფელვან 50 მან.

ჟურნალში დაიბეჭდება **განცხადებები**

რედაქციაში შეიძლება შეძენა დღემდე გამოსული ნომრების. სელის მოქწერ-ლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთაველის ბრონ-ვექტი, № 24. ეშმაკის მათრახისათვის. რედაქცია და კანტორა ღიაა 9—2 საათამდე.

საქართველოს სახაზინო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია